პარატექსტი

პარატექტში მოიაზრება ყველაფერი, რაც ტექსტს ახლავს: ყდიდან მოყოლებული მწერილს მიერ წიგნის შესახებ გამოქვეყნებული მოსაზრებების დამთავრებული. პარატექსტი აყალიბებს მკითხველის **მოლოდინის ჰორიზონს** და **იზიდავს** მას, ამიტომ პარატექსტს სწორედ ეს ორი ძირითადი დანიშნულება აქვს.

პერიტექსტი, ჟ. ჟენეტის განსაზღვრებით, მოიცავს სათაურს, ყდას, წინათქმას, მინიშნებებს, თავების სათაურებს .... **ეპიტექსტი** მწერალთან გგასაუბრებას (ინტერვიუებს), მიმოწერას, დღიურებს გულისხმობს.

სათაური დიდი მნიშვნელობის მქონეა. როდესაც მკითხველი წიგნებით სავსე თაროების წინ დგას, იმ წიგნს აირჩევს, რომლის სათაური მას დააინტერესებს და მიიზიდავს. სწორედ სათაური (თუ არ ჩავთვლის ყდას) მოლოდინის ჰორიზონს უქმნის მკითველს.

სათაურს რამდენიმე ფუქცია აქვს:

1) **იდენტიფიკაციის** – რადგან, სწორედ სათაურით შეიძლება მივხვდეთ ავტორს: როდესაც ვახსენებთ „სამი მუშკეტერს", ალექსანრდ დიუმას ვგულისმობთ.
2) **დესკრიპციული** – წიგნის სათაური ნაწარმოებში მოთხრობილ ამბებს უკავშირდება და მათ შესახებ ინფორმაციას გვაწვდის.

შეიძლება გამოვყოთ ორის სახის სათაური:

ა) სათაურის, რომელიც წიგნის შინაარს ეხება

ბ) ის, რომელშიც ნაწარმოების ფორმა ამოიცნობა.

შინარსის მიხედვით განარჩევენ შემდეგი სახის სათაურებს:



ლიტერალურია ის სათაური, რომელიც მხატვრულ-ლიტერატურული ტექსტის ძირითად თემას ან მთავარ პერსონაჟს (პროტაგონისტს) უკავშირდება.

მეტონიმურია ის სათაური, რომელიც მხატვრულ-ლიტერატურული ტექსტის ერთ-ერთ თემას ან მეორეხარისხივან პერსონაჟს უკავშირდება.

მეტაფორულია ის სათაური, რომელიც მხატვრულ-ლიტერატურული ტექსტის ძირითად იდეას მეტაფორულად გვაწვდის, სიმბოლურად გამოხატავს ავტორის სათქმელს.

ირონიულია ის სათაური, რომელშიც იგრძნობა ავტორის ირონიული დამოკიდებულება მოყოლილი ამბის მიმართ.

სათაურმა შეიძლება მხატვრულ-ლიტერატურული ტექსტის ფორმაზე მიუთითოს. ამაში ვლინდება სათურის **რემატული ფუნქცია**.

განარჩევენ **გენერაციულ** (რომელიც კონკრეტულ ჟანრზე მიანიშნებს) – **პარაგენერაციულ** (სადაც ნაწრმობის ფორმა ძნელად ამოიცნობა) სათაურებს.

არსებობს **შერეული** სათაური, რომელიც მიუთითებს როგორც ფორმაზე, ასევე მის შინაარსზე („სიმღერა ჩემს სიდზე”).

ორაზროვანია ის სათაური, რომელშიც ძნელია სათაურის რემატული და თემატური ფუნქციების გამოყოფა (ემილ ზოლას „სიყვარულის გვერდი”).

3) სათაურს **კონოტაციური ფუნქცია** და ღირებულებას აქვს. (ვ. ჰიუგოს „93”).
4) მონუსხვა სათაურის დამახასითებელია ფუნქციაა **(მონუსხვის ფუნქცია)** (მაგალითად, ლე კლეზიოს „უდაბნო”).

პარატექსტში იგულისხმება ყდაც. წიგნის ყდა შეიძლება ორიგინალური იყოს – ავტორის მიერ მოწონებული. ზოგადად, ყდაც დიდი მნიშვნელობა აქვს და იგი ასევე დიდ ინფორმცაიას აწვდის მკითხველს.